საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი

№7670
27 / ოქტომბერი / 2023 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას

ბატონო ჯაბა,

მოგეხსენებათ, საქართველო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისაკენ მიმავალ გზაზე გადამწყვეტ ეტაპს გადის, კერძოდ, მიმდინარე წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას მოელის, რაც იქნება უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა და წინგადადგმული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნისათვის.
გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა გამოთქვა სურვილი, მიმდინარე წლის 3 ნოემბერს, 15:00 საათზე საჯარო ლექცია გამართოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში. საჯარო ლექციაზე დამსწრე საზოგადოებასთან საქართველოს პრეზიდენტი ისაუბრებს საქართველოს ევროპული არჩევანის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე და იმ უდიდეს სამომავლო შესაძლებლობებზე, რომლებსაც ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის წარმატება განაპირობებს.
გთხოვთ თქვენს მხარდაჭერასა და ჩართულობას 2023 წლის 3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პრეზიდენტის საჯარო ლექციის ორგანიზებაში, რაც გულისხმობს ზემოაღნიშნული სივრცის დათმობასა და უნივერსიტეტში საჯარო ლექციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია გამოთქვამს მზადყოფნას, მოგაწოდოთ თქვენთვის საჭირო ყველა დამატებითი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის საჯარო ლექციასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი
ნათია სულავა